საქართველოს პარლამენტი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-დეკემბრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
იანვარი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 27,800.0 მლნ ლარი	წლიური გეგმის 100.8%
გადასახდელები - 27,720.5 მლნ ლარი	წლიური გეგმის 99.2%

ნაშთის ცვლილება 79.6 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,137.3 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -1,575.0 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 27,800.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,583.5 მლნ ლარი) 100.8%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,044.8 მლნ ლარით (7.9%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2025 წლის 12 თვეში, **გადასახდელები** 27,720.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,952.9 მლნ ლარი) 99.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 12 თვის მაჩვენებელს 1,774.1 მლნ ლარით (6.8%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შემოსავლები 100.7%-ს შეადგენს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს (98.7%), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები, მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 14.9%-იანი და 11.3%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯები 100.2%-ს, ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 99.1%-ს შეადგენს, ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 23.6%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლით (89.9%) ხასიათდება.





სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 12 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 79.6 მლნ ლარი შეადგინა და 2026 წლის პირველი იანვრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,465.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო,** 12 თვეში, 1,137.3 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -1,575.0 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით, იანვარ-დეკემბერში მობილიზებულია 21,957.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 100.1%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადები წლიური გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება და 99.6% - 103.0%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, წლიური საგეგმო მაჩვენებელი 580.0 მლნ ლარს შეადგენს, 12 თვეში კი 559.3 მლნ ლარია ჩარიცხული. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 1,760.9 მლნ ლარით (8.7%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 13.4%-იანი და 7.5%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების მაჩვენებელმა 12 თვეში 22,852.3 მლნ ლარი, წლიური გეგმის 100.2% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, სუბსიდიების (108.7%), გრანტებისა (104.6%) და სოციალური უზრუნველყოფის (100.7%) ხარჯები გადაჭარბებით გამოირჩევა, დანარჩენი სახის ხარჯები კარგი შესრულებით ხასიათდება: პროცენტის მუხლით ხარჯები 99.2%-ს შეადგენს, სხვა ხარჯები - 99.1%-ს, შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები კი, შესაბამისად - 97.7%-ს და 95.3%-ს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 2,803.8 მლნ ლარით (14.0%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების 11.8%-იანი მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 12 თვის ფატი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 12 თვე / 2024 წლის 12 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	**25,755.3**	**27,583.5**	**27,800.0**	**100.8%**	**2,044.8**	**7.9%**
შემოსავლები	**21,848.8**	**23,816.2**	**23,989.6**	**100.7%**	**2,140.8**	**9.8%**
გადასახადები	20,196.5	21,940.0	21,957.5	100.1%	1,760.9	8.7%
საშემოსავლო გადასახადი	6,627.7	7,549.0	7,515.1	99.6%	887.3	13.4%
მოგების გადასახადი	3,117.5	2,880.0	2,881.4	100.0%	-236.2	-7.6%
დღგ	7,558.8	8,136.0	8,126.5	99.9%	567.7	7.5%
აქციზი	2,488.0	2,650.0	2,728.6	103.0%	240.6	9.7%
იმპორტის გადასახადი	138.9	145.0	146.6	101.1%	7.7	5.6%
სხვა გადასახადები	265.6	580.0	559.3	96.4%	293.8	110.6%
გრანტები	335.9	186.2	277.4	149.0%	-58.5	-17.4%
სხვა შემოსავლები	1,316.4	1,690.0	1,754.8	103.8%	438.4	33.3%
არაფინანსური აქტივების კლება	**301.3**	**300.0**	**344.7**	**114.9%**	**43.4**	**14.4%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**344.6**	**340.0**	**378.5**	**111.3%**	**34.0**	**9.9%**
ვალდებულებების ზრდა	**3,260.6**	**3,127.3**	**3,087.1**	**98.7%**	**-173.4**	**-5.3%**
საშინაო	1,521.3	1,600.0	1,589.0	99.3%	67.7	4.5%
საგარეო	1,739.3	1,527.3	1,498.2	98.1%	-241.1	-13.9%
გადასახდელები	**25,946.3**	**27,952.9**	**27,720.5**	**99.2%**	**1,774.1**	**6.8%**
ხარჯები	**20,048.5**	**22,802.0**	**22,852.3**	**100.2%**	**2,803.8**	**14.0%**
შრომის ანაზღაურება	2,586.0	3,020.4	2,952.0	97.7%	366.0	14.2%
საქონელი და მომსახურება	2,301.3	2,467.2	2,350.0	95.3%	48.7	2.1%
პროცენტი	1,472.4	1,645.0	1,632.2	99.2%	159.8	10.9%
სუბსიდიები	1,165.2	1,475.6	1,603.4	108.7%	438.2	37.6%
გრანტები	1,706.6	1,988.1	2,079.8	104.6%	373.2	21.9%
სოციალური უზრუნველყოფა	7,787.3	8,644.3	8,705.8	100.7%	918.5	11.8%
სხვა ხარჯები	3,029.7	3,561.5	3,529.1	99.1%	499.4	16.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**4,242.5**	**3,401.4**	**3,057.0**	**89.9%**	**-1,185.5**	**-27.9%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**365.3**	**317.8**	**392.8**	**123.6%**	**27.6**	**7.5%**
ვალდებულებების კლება	**1,290.0**	**1,431.7**	**1,418.3**	**99.1%**	**128.3**	**9.9%**
საშინაო	45.3	57.9	55.1	95.0%	9.7	21.5%
საგარეო	1,244.7	1,373.8	1,363.2	99.2%	118.5	9.5%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**-191.1**	**-369.4**	**79.6**			

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 12 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 12 თვე / 2024 წლის 12 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	**21,848.8**	**23,816.2**	**23,989.6**	**100.7%**	**2,140.8**	**9.8%**
გადასახადები	20,196.5	21,940.0	21,957.5	100.1%	1,760.9	8.7%
გრანტები	335.9	186.2	277.4	149.0%	-58.5	-17.4%
სხვა შემოსავლები	1,316.4	1,690.0	1,754.8	103.8%	438.4	33.3%
ხარჯები	**20,048.5**	**22,802.0**	**22,852.3**	**100.2%**	**2,803.8**	**14.0%**
შრომის ანაზღაურება	2,586.0	3,020.4	2,952.0	97.7%	366.0	14.2%
საქონელი და მომსახურება	2,301.3	2,467.2	2,350.0	95.3%	48.7	2.1%
პროცენტი	1,472.4	1,645.0	1,632.2	99.2%	159.8	10.9%
სუბსიდიები	1,165.2	1,475.6	1,603.4	108.7%	438.2	37.6%
გრანტები	1,706.6	1,988.1	2,079.8	104.6%	373.2	21.9%
სოციალური უზრუნველყოფა	7,787.3	8,644.3	8,705.8	100.7%	918.5	11.8%
სხვა ხარჯები	3,029.7	3,561.5	3,529.1	99.1%	499.4	16.5%
საოპერაციო სალდო	**1,800.3**	**1,014.2**	**1,137.3**	**112.1%**	**-663.0**	**-36.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**3,941.2**	**3,101.4**	**2,712.3**	**87.5%**	**-1,228.9**	**-31.2%**
ზრდა	4,242.5	3,401.4	3,057.0	89.9%	-1,185.5	-27.9%
კლება	301.3	300.0	344.7	114.9%	43.4	14.4%
მთლიანი სალდო	**-2,140.9**	**-2,087.2**	**-1,575.0**	**75.5%**	**565.9**	**-26.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-170.4**	**-391.7**	**93.8**	**-24.0%**	**264.2**	**-155.1%**
ზრდა	**365.3**	**317.8**	**472.4**	**148.7%**	**107.1**	**29.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	79.6		79.6	
სესხები	252.0	315.3	302.6	96.0%	50.6	20.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	113.3	2.5	90.2	3682.7%	-23.1	-20.3%
კლება	**535.6**	**709.4**	**378.5**	**53.4%**	**-157.1**	**-29.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	191.1	369.4	0.0	0.0%	-191.1	-100.0%
სესხები	344.6	340.0	377.7	111.1%	33.2	9.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.8		0.8	
ვალდებულებების ცვლილება	**1,970.6**	**1,695.6**	**1,668.9**	**98.4%**	**-301.7**	**-15.3%**
ზრდა	**3,260.6**	**3,127.3**	**3,087.1**	**98.7%**	**-173.4**	**-5.3%**
საშინაო	1,521.3	1,600.0	1,589.0	99.3%	67.7	4.5%
საგარეო	1,739.3	1,527.3	1,498.2	98.1%	-241.1	-13.9%
კლება	**1,290.0**	**1,431.7**	**1,418.3**	**99.1%**	**128.3**	**9.9%**
საშინაო	45.3	57.9	55.1	95.0%	9.7	21.5%
საგარეო	1,244.7	1,373.8	1,363.2	99.2%	118.5	9.5%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი